პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

პარასკევი, 25 მაისი, 1951 წ. № 121 (8975). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ (1-ლი გვერდი).

პარტიული ორგანიზაციები იბრძვიან მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის (მე-2 გვერდი).

ვ. გრიგორიანი—იმპერიალიზმის მეაბჯრენი (მე-2 და მე-3 გვერდი).

რუსული ლიტერატურის ქართული თარგმანების შესახებ (მე-2 გვერდი).

მოწინავე, მზარდი კოლმეურნეობა (მე-3 გვერდი).

სერიოზული ნაკლოვანებანი რუსთავის სავაჭრო ძსლის მუშაობაში (მე-3 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება (მე-4 გვერდი).

ჩეხოსლოვაკიის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი (მე-4 გვერდი).

წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში

საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებანი ძირითადად მის მშენებელთა პოლიტიკურ შეგნებასა და ბოლშევიკურ გაწრთობაზეა დამოკიდებული.

„ჩვენ რომ შევძლებდეთ, ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარტიული კადრები, თავიდან ბოლომდე, იდეოლოგიურად მოვამზადოთ და იმგვარად გამოვაწრთოთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად გარკვევა საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენ რომ შევძლებდეთ გავხადოთ ისინი სავსებით მომწიფებულ ლენინელებად, მარქსისტებად, რომელთაც ექნებათ უნარი გადაჭრან სერიოზული შეცდომების დაუშვებლად ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ჩვენ ამით გადავჭრიდით ყველა ჩვენი ამოცანის ცხრა მეათედს", — გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

კადრების იდეოლოგიური მომზადებისათვის ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი. კომუნიზმის მშენებელი ადამიანები უდიდეს დაინტერესებას იჩენენ რევოლუციური თეორიის შესწავლისადმი. ათიათასობით კომუნისტი და უპარტიო ბოლშევიკი პარტიული განათლების სისტემაშია ჩაბმული, იდეური მომზადების დონეს იმაღლებს პოლიტსკოლებსა და წრეებში, პარტიულ სკოლებში, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში, თვითგანათლების გზით.

პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად აუმჯობესებენ ხელმძღვანელობას პარტიული პროპაგანდისადმი, უკეთესად ეხმარებიან პოლიტსკოლებსა და წრეებში გაერთიანებულ კომუნისტებს, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს, პროპაგანდისტებსა და კონსულტანტებს. პარტიული ორგანიზაციების მხრივ ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერების შედეგია მარქსისტულ-ლენინური სწავლების საქმის გაუმჯობესება, მეტი ორგანიზებულობა და წესრიგი პარტიული განათლების სისტემაში. მიმდინარე სასწავლო წელს პოლიტსკოლებისა და წრეების დიდი უმრავლესობა წარმატებით ასრულებს სასწავლო პროგრამას; თანმიმდევრულად და ნაყოფიერად მეცადინეობს თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგების უმრავლესობა.

ახლა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უნაკლოდ და ორგანიზებულად დაამთავრონ სასწავლო წელი პარტიული განათლების მთელ სისტემაში. დრო ცოტაა დარჩენილი. საჭიროა ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში შედგა თათბირი, რომელმაც განიხილა სოფლის პარტიული განათლების ქსელში შემაჯამებელი მეცადინეობის მიმდინარეობისა და საქალაქო პარტიულ ორგანიზაციებში სასწავლო წლის დამთავრებისათვის მზადების საკითხი. თათბირზე მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი იქნა ახილებული მარქსისტულ-ლენინური სწავლების ორგანიზაციაში. იმის გამო, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ერთი ნაწილი სათანადო დახმარებასა და კონტროლს არ უწევდა, ზოგიერთი პოლიტსკოლა და წრე ჩამორჩა სასწავლო პროგრამის გავლაში, მსმენელების ნაწილი აცდენდა მეცადინეობას და, ბუნებრივია, ვერ ითვისებდა გავლილ მასალას. ნაკლოვანებანი გამომჟღავნდა თვითგანათლების საქმეშიც. ზოგიერთი კომუნისტი იმის გამო, რომ მას სათანადო კონტროლს არ უწევდა პარტიული ორგანიზაცია, ფორმალურად მოეკიდა თვითგანათლების გეგმის შედგენას და ფაქტიურად არაფერი გაუკეთებია საკუთარი თეორიული დონის ასამაღლებლად. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებანი ახლავე უნდა დასახონ პარტიულმა ორგანიზაციებმა.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა გულდასმით და ორგანიზებულად მოაწყონ სასწავლო წლის შედეგების შეჯამება, თვითეულ პოლიტსკოლასა და წრეს მიუდგნენ ინდივიდუალურად, ყურადღებით გამოარკვიონ — რომელმა პოლიტსკოლამ და წრემ ამოსწურა სასწავლო პროგრამა და რომელი ჩამორჩა. არ შეიძლება აჩქარება სასწავლო მასალის გავლის დამთავრებაში. ეს მხოლოდ ზიანს მოუტანდა საქმეს.

შემაჯამებელი მეცადინეობის ვადები წინასწარ უნდა ვაცნობოთ მსმენელებს. ეს მეცადინეობა და თეორიული გასაუბრებანი უნდა მოეწყოს ცოცხალი გაშლილი საუბრის მეთოდით. დაუშვებელია მათი გადაქცევა გამოცდად. მხოლოდ ცოცხალი საუბრის მეთოდი მისცემს თვითეულ მსმენელს საშუალებას თამამად და სრულად გამოავლინოს თავისი ცოდნა. მხოლოდ ასეთი მეთოდი მისცემს პარტიულ ორგანიზაციებს შესაძლებლობას კარგად გამოარკვიონ, თუ როგორ შეითვისა თვითეულმა კომუნისტმა სასწავლო პროგრამა და პარტიული სწავლების რომელ ფორმაში იქნება მიზანშეწონილი მისი ჩაბმა მომავალ სასწავლო წელს.

სასწავლო წელი მთავრდება კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელშიც. პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან ხელმძღვანელობა გაუწიონ და ყოველმხრივ დაეხმარონ კომკავშირულ ორგანიზაციებს სასწავლო წლის ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე დამთავრების საქმეში.

შეაჯამებენ რა პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შედეგებს, პარტიული ორგანიზაციები აქედანვე უნდა შეუდგნენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას. აუცილებელია კარგად გავითვალისწინოთ მიმდინარე წელს პარტიული სწავლების ყველა დადებითი შედეგი, რომ იგი მომავალ მუშაობაში უნარიანად გამოვიყენოთ, გავითვალისწინოთ ყველა ნაკლოვანება, რომ ისინი მომავალ სასწავლო წელს აღარ განმეორდეს.

პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ აქედანვე იზრუნონ პროპაგანდისტთა კადრების შენარჩუნებისათვის, მათი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის, უკეთესად მოაწყონ მუშაობა პროპაგანდისტთა შემდგომი თეორიული და მეთოდური დახელოვნებისათვის.

ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში, ყოველმხრივ და უნაკლოდ მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის!

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 27 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად **1950 წელს სარწყავ მიწებზე თამბაქოს, შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანისა და მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებასა და გალეწვაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის დაჯილდოვდნენ:**

ლენინის ორდენით

1. **ბერძნიშვილი** სამსონ გიორგის-ძე — გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 714 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.
2. **ბიგვავა** ალექსი გრიგოლის-ძე — სოხუმის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 17,2 ცენტნერი № 27 „სამსუნის" ჯიშის თამბაქო.
3. **იოსებიძე** იოსებ დავითის-ძე—გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 15,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 711 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.
4. **ქერდიკაშვილი** გიორგი იასონის-ძე — გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 732 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.
5. **ლაზარიაშვილი** მიხეილ ნიკოლოზის-ძე — ალაზნის მტს-ის კომბაინერი, რომელმაც „სტალინეც—6" კომბაინით გალეწა მის მიერ 25 სამუშაო დღეში მოჭრილი 7.653 ცენტნერი მარცვლეული.
6. **ნარსია** ლეონიდე სიმონის-ძე—სოხუმის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 16,4 ცენტნერი № 27 „სამსუნის" ჯიშის თამბაქო.
7. **შელია** ვიქტორ იაკობის-ძე — სოხუმის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 15,3 ცენტნერი № 27 „სამსუნის" ჯიშის თამბაქო.
8. **იუსუფოვი** თემრაზ მაჰომედ ოღლი — მარნეულის რაიონის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 29,9 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ახალბედაშვილი** ანდრია გაბრიელის-ძე — გორის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 645 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.
2. **ახალკაცი** დავით ნიკოლოზის-ძე—გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 711 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.
3. **ახვლედიანი** შალვა დავითის-ძე—სოხუმის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 5,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 16,3 ცენტნერი № 27 „სამსუნის" ჯიშის თამბაქო.
4. **ბასტი-სულეიმან ყზი** — მარნეულის რაიონის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 29,9 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქოს მოყვანაში.
5. **ბერიანიძე** თევდორე მიხეილის-ძე — გორის რაიონის კოლმეურნეობა „მეურნის" მერგოლეური, რომელმაც 3,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 660 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.
6. **გიგაური** ივანე ალექსის-ძე — გორის რაიონის კოლმეურნეობა „ერთგულის" მერგოლეური, რომელმაც 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 621 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.
7. **ქეთილაძე** ილია იაკობის-ძე — გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 714 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მოყვანაში.
8. **ქეთილაძე** სერგო დავითის-ძე — გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 711 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.
9. **კოპალიანი** თამარ თევდორეს ასული — სოხუმის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 16,5 ცენტნერი № 27 „სამსუნის" ჯიშის თამბაქო.
10. **მამედოვი** მამიშ ქიაზიმ ოღლი — მარნეულის რაიონის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 28,3 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო.
11. **მირუაშვილი** ივანე გიორგის-ძე—გორის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 3,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 628 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.
12. **მოზგოვაია** ანა ვასილის ასული—გულრიფშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა 34 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 20,7 ცენტნერი № 27 „სამსუნის" ჯიშის თამბაქოს მოყვანაში.
13. **სირბილაძე** ეფრემ ბესარიონის-ძე — გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა 15,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 711 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მოყვანაში.
14. **სიჭინავა** რაჟდენ ივანეს-ძე—სოხუმის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა 62,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 17,7 ცენტნერი № 27 „სამსუნის" ჯიშის თამბაქოს მოყვანაში.
15. **ჩაკირიანი** აკოფ მარკოსის-ძე — სოხუმის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური, რომელმაც 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 16,5 ცენტნერი № 27 „სამსუნის" ჯიშის თამბაქო.
16. **ეხვაია** პარმენ ფილის-ძე — სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „მეორე ხუთწლედის" პარტიული ორგანიზაციის მდივანი, რომელმაც თავი გამოიჩინა 23 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 19,2 ცენტნერი № 27 „სამსუნის" ჯიშის თამბაქოს მოყვანაში.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

1. **ალიევი** ალი ყარა ოღლი — მარნეულის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური.
2. **ალიევი** მაჰით ალი ოღლი—მარნეულის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
3. **ალიევა** ფირუზა მუსა ყზი—მარნეულის რაიონის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
4. **ასანიშვილი** გიორგი პართენის-ძე — ალაზნის მტს-ის კომბაინერი.
5. **ბაიდოშვილი** ივანე ვასილის-ძე — ულიანოვკის მტს-ის კომბაინერი.
6. **ბარქაია** აპოლონ სტეფანეს-ძე — გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის" თავმჯდომარე.
7. **ბერძნიშვილი** სერგი იოსების-ძე—გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
8. **გალკინი** გიორგი ნიკიფორეს-ძე — ალაზნის მტს-ის კომბაინერი.
9. **ლვინჯილია** თებრო დიმიტრის ასული — გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის" წევრი.
10. **გეგეჭკორი** მანია ლავრენტის ასული — გაგრის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
11. **გიგაური** ბარბარე ფრიდონის ასული — გორის რაიონის კოლმეურნეობა „ერთგულის" წევრი.
12. **გლურჯიძე** სოფიო გიორგის ასული — გორის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
13. **ჯავახიშვილი** გეურქ არშაკის-ძე — ასურეთის მტს-ის კომბაინერი.
14. **ქერდიკაშვილი** სერგი ვლადიმერის-ძე — გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.
15. **კიკილაშვილი** მიხეილ ნიკოლოზის-ძე — ალაზნის მტს-ის კომბაინერი.
16. **კონევცოვი** ივანე არსენტის-ძე—ალაზნის მტს-ის კომბაინერი.
17. **კოპალიანი** ნინო ექვთიმეს ასული — სოხუმის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
18. **კოპალიანი** ტასია რომანის ასული — სოხუმის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
19. **ლობკო** იაკობ ივანეს-ძე—ალაზნის მტს-ის კომბაინერი.
20. **მალაშხია** ეთერ ფილიპეს ასული — გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის" აგრონომი.
21. **მალოლეტკინი** თევდორე ივანეს-ძე — ულიანოვკის მტს-ის კომბაინერი.
22. **მარკოზაშვილი** გაიოზ ალექსის-ძე — ასურეთის მტს-ის კომბაინერი.
23. **მაჭარაშვილი** იასონ დიმიტრის-ძე — ალაზნის მტს-ის ტრაქტორისტი.
24. **მერებაშვილი** იოსებ ილიას-ძე—გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
25. **მიდელაშვილი** გიორგი ივანეს-ძე — გორის რაიონის კოლმეურნეობის „გზა სოციალიზმისაკენ" მერგოლეური.
26. **მირაზანაშვილი** თამარ კარგოს ასული — გორის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი შრომის" მერგოლეური.
27. **მირონჩენკო** ივანე ივანეს-ძე — ალაზნის მტს-ის კომბაინერი.
28. **მუსაევი** ჯაჰანდარ ნაბი ოღლი — მარნეულის რაიონის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
29. **ნავროზაშვილი** დავით გიორგის-ძე — ულიანოვკის მტს-ის კომბაინერი.
30. **ნადირაშვილი** მიხეილ ალექსის-ძე — გორის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
31. **ომაროვი** მურსალ ისკენდერ ოღლი — მარნეულის რაიონის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
32. **ონოფრიენკო** ვასილ კორნეის-ძე — ალაზნის მტს-ის კომბაინერი.
33. **ფუთრიაშვილი** გიორგი გიორგის-ძე — ალაზნის მტს-ის კომბაინერის თანაშემწე.
34. **რადჩენკო** იაკობ გრიგოლის-ძე—მარნეულის მტს-ის კომბაინერი.
35. **რუტკოვსკი** სერგი ალექსანდრეს-ძე — გულრიფშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბუხჰალტერი.
36. **სეისიანი** ტიგრან არუთინის-ძე — გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის" ბრიგადირი.
37. **სიჭინავა** რომანოზ ესტატეს-ძე—გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის" ბრიგადირი.
38. **თოდრია** სოფიო ერმოლოზის ასული — გაგრის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
39. **უგრეხელიძე** ვენერა სემლორის ასული — სოხუმის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური.
40. **ხომუტოვი** ილია ნიკოლოზის-ძე — ულიანოვკის მტს-ის კომბაინერი.
41. **ცერცვაძე** ალექსანდრე გიორგის-ძე — გორის რაიონის კოლმეურნეობა „მეურნის" წევრი.
42. **წიკლაური** მარიამ ზაქარიას ასული — გორის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
43. **ჭაბუკიანი** თამარ გრამიტონის ასული — სოხუმის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
44. **ჭუჭულაშვილი** გიორგი დიმიტრის-ძე — ალაზნის მტს-ის კომბაინერი.
45. **ჭუჭულაშვილი** დიმიტრი ლუარსაბის-ძე — ალაზნის მტს-ის კომბაინერი.
46. **შახულაშვილი** გრიგოლ ალექსის-ძე — ქარელის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეური.
47. **შენგელია** ეკატერინე დავითის ასული — სოხუმის რაიონის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
48. **იუშკო** პეტრე ზაქარიას-ძე — მარნეულის მტს-ის კომბაინერი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

1. **აფხაზაშვილი** ევგენია ალექსის ასული — გორის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
2. **აბშილავა** მინადორა ლავრენტის ასული — გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის" წევრი.
3. **ბეჟანიშვილი** ივანე სიმონის-ძე—ულიანოვკის მტს-ის ტრაქტორისტი.
4. **გიგაური** თამარ ვლადიმერის ასული — გორის რაიონის კოლმეურნეობა „ერთგულის" წევრი.
5. **დალაქიშვილი** არჩილ გიორგის-ძე — ასურეთის მტს-ის კომბაინერის თანაშემწე.
6. **დემურაშვილი** ბარბარე ალექსანდრეს ასული — გორის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი შრომის" წევრი.
7. **ეკალაძე** გივი ვასილის-ძე — ქარელის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
8. **ეკალაძე** შალვა პეტრეს-ძე — ქარელის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
9. **ზარანდია** ვალენტინა იაკობის ასული — გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის" მერგოლეური.
10. **ზეინკლიშვილი** ნინო ივანეს ასული — ქარელის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
11. **იბრაგიმოვი** ჯაფარ ახმედ ოღლი — მარნეულის მტს-ის კომბაინერის თანაშემწე.
12. **მალაშხია** ალექსანდრე ვასილის-ძე—გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის" წევრი.
13. **მამითაშვილი** ზაქარია ივანეს-ძე — გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
14. **მაცნევი** გერასიმე ევნატეს-ძე—მარნეულის მტს-ის კომბაინერის თანაშემწე.
15. **მიდელაშვილი** ზორა სიმონის ასული — გორის რაიონის კოლმეურნეობის „გზა სოციალიზმისაკენ" წევრი.
16. **ნაოჭაშვილი** ეკატერინე ჩიტოს ასული — გორის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი შრომის" წევრი.
17. **რაზმაძე** ბარბარე გიორგის ასული — გორის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი შრომის" წევრი.
18. **რაზმაძე** იოსებ მიხეილის-ძე — გორის რაიონის კოლმეურნეობა „ერთგულის" წევრი.
19. **წკრიალაშვილი** მაყვალა ეფრემის ასული — გორის რაიონის კოლმეურნეობის „გზა სოციალიზმისაკენ" წევრი.
20. **წკრიალაშვილი** მარიამ ანტონის ასული — გორის რაიონის კოლმეურნეობის „გზა სოციალიზმისაკენ" წევრი.
21. **ჩიტაია** დუშა ლავრენტის ასული — გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის" წევრი.
22. **ჭონიაშვილი** ოლღა დავითის ასული — გორის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
23. **შიუკაშვილი** კლარა ვასილის ასული — გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1951 წლის 19 მაისი.

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულონ მატყლის დამზადების გეგმა და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 400 ცენტნერი მატყლი

ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ყაზბეგის რაიკომის მდივანი ამხ. შადური, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლუდუშაური, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. სიჭინავა და „ზაგოტჟივსირიოს" ყაზბეგის რაიდამზადების კანტორის დირექტორი ამხ. ქირიკაშვილი იტყობინებიან, რომ ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს 1951 წლის 15 ივნისამდე მთლიანად შეასრულონ მატყლის დამზადების წლიური გეგმა, ხოლო გეგმის გადამეტებით შემოდგომის ნაპარსიდან სახელმწიფოს ჩააბარონ 400 ცენტნერი მატყლი.

საგურამოში იხსნება ი. ჭავჭავაძის სახლი-მუზეუმი

კვირას 27 მაისს, საგურამოში იხსნება ილია ჭავჭავაძის სახლი-მუზეუმი. სახლ-მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი გაიმართება დღის 12 საათზე. დასწრება თავისუფალია. (საქდესი).

1951 წ. 30 მაისს, საღამოს 8 საათზე, შრომის სასახლის კლუბში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მე-2 პლენუმი

დღის წესრიგი: „პროფკავშირულ კადრებთან მუშაობის შესახებ".

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამესამე ტომი ბელორუსულ ენაზე

მინსკი, 23 მაისი. (საქდესი). ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობამ ბელორუსულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამესამე ტომი.

თარგმანი შესრულებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ბელორუსიის ფილიალის მიერ.

საიუბილეო გამოფენა სსრ კავშირის დიდი თეატრის 175 წლისთავისათვის

სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში მთავრდება საიუბილეო გამოფენის მომზადება. აქ შეგროვებულია მრავალი მასალა — ფოტოსურათები, წერილები, სურათები, რომლებიც ასახავენ თეატრის შემოქმედებითს გზას დაარსებიდან ჩვენს დრომდე.

თეატრის თითქმის ორი საუკუნის ისტორია იდეით გამსჭვალული, მართალი, რეალისტური, ნამდვილად ხალხური ხელოვნებისათვის ბრძოლის ისტორიაა.

გამოფენაზე ექსპონირებულია პირველი რუსი კომპოზიტორებისა და პროფესიულ მომღერლების ფოტოსურათები. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი რუსული კლასიკური ოპერის ფუძემდებელს მ. გლინკას, რომლის ოპერების დადგმა თეატრის შემოქმედებითს განვითარებაში ისტორიული ეტაპი გახდა.

დანარჩენი სტენდები მიძღვნილია დიდი რუსი კომპოზიტორების პლეადისადმი — პ. ჩაიკოვსკის, მ. მუსორგსკის, ნ. რიმსკი-კორსაკოვის, ა. დარგომიჟსკისა და ა. ბოროდინისადმი. რუსული კლასიკური მუსიკის უკვდავ ქმნილებებზე გაიზარდნენ გამოჩენილი მომღერლები ლ. სობინოვი, თ. შალიაპინი, ა. ნეჟდანოვა, რომლებმაც ახალი ეპოქა შექმნეს საოპერო ხელოვნების განვითარებაში. ამ ქმნილებებზე აღიზარდნენ და იზრდებიან შესანიშნავი საბჭოთა ვოკალისტები.

დიდ ინტერესს წარმოადგენს „ივანე სუსანინის", „[illegible]", „გედების ტბის" და სხვა სპექტაკლების პირველი წარმოდგენების აფიშების ფოტოასლები. ეს ოპერები მრავალი ათეული წლების მანძილზე იდგმება დიდი თეატრის სცენაზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ თეატრის კარი გაიღო ხალხის ფართო მასებისათვის. პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით გარემოცული დიდი თეატრი ჩვენი ქვეყნის ოპერისა და ბალეტის წამყვანი თეატრი გახდა. ფოტოსურათები მოგვითხრობენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში მიღწეულ შემოქმედებითს წარმატებებზე.

ერთ-ერთ დარბაზში შეგროვებულია ფერწერისა და ქანდაკების ნაწარმოებნი, მიძღვნილნი ოპერისა და ბალეტის გამოჩენილი ოსტატებისადმი. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაციები იბრძვიან მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის

ჩვენი რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზული ყურადღება მიაქცია მეცხეურობის მიღწევებისა და მოწინავეთა მეთოდების დაჯთოდ დანერგვასა და გავრცელებას. ტყიბულის შახტების მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები სწავლობენ, განაზოგადებენ, ფართოდ ავრცელებენ სამთო ფაფრის საბჭოთა მეცნიერებისა და მოწინავე, ნოვატორ მუშაკთა გამოცდილებას, რის შედეგადაც ქვანახშირის ამოღების გადიდების საქმეში ამ მხრეთ დროს მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. მიმდინარე წლის პირველ 4 თვეში ქვანახშირის ამოღება გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 27 პროცენტით გიზარდა.

ტყიბულის შახტებში ფართოდ არის დანერგული ქვანახშირის მონგრევის ნაკადური მეთოდი. მუშაობის ეს მეთოდი, რომელიც შემოიღო სტალინის სახელობის შახტის განთქმულმა მნგრეველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შალვა ფურტეხანიძემ, დიდად ამჟღეროვებს საბჭოთა ღღეს, ხელს უწყობს ქვანახშირის ამოღების მკეთრად გადიდებას. წინათ როცა მნგრეველი მუშაობას იწყებდა სანგრევში, მებიგე და მტერთავი იდგენენ სამეშაო ფრონტის უკნელობის გამო. ლეს დასახარულ კი, პირიქით, მნგრეველი ანელებდა ტემპს, რადგან მებიგეს და მტერთავს საკმაო სამეშაო ჰქონდათ. ამხ. შ. ფურტეხანიძის მეთოდი ამ მდგომარეობის ბოლოს უღებს. ამ მეთოდის მიხედვით წინა ცვლის მნგრეველი მომდევნო ცვლას სანგრევში უტოვებს იმდენ მონგრეულ ქვანახშირს, რაც მეტი ფართობიდან ამოვიღეთ, სანამ მნგრეველი შეასრულებდეს ბურღვა-აფეთქების პროცესს და მოთანგრევდეს ქვანახშირს.

სტალინის სახელობის შახტის პირველობამ პარტიულმა ორგანიზაციამ დაწერილებით შეისწავლა შ. ფურტეხანიძის მუშაობის მეთოდი და შეედგა მის დანერგვას. ყველა საექსპლოატაციო უბანში. ამ მეთოდის შესახებ კომენსატებმა ინსტრუქციის ღია პარტიულ კრებაზე, ყველა უბანსა და ცვლაში. პარტიის რაიონული კომიტეტის ინიციატივით მოწვეულ იქნა მუშაბჭეთა საწარმოო თათბირი, რომელზეც შეეშალდა ალნიშნული მეთოდის გავრცელებისათვის საჭირო ღონისძიებანი. მუშაობის მოწინავე მეთოდების გავრცელებას ხელმძღვანელობენ პარტიის რაიონული კომიტეტი და შახტების პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომელიც-მაც თავის გარშემო მეტიროდ დააკრა. მეს უპარტიო აქტივი.

ნაკადური მეთოდის ფართოდ დანერგვის შედეგად ტყიბულქვანახშირის ტრესტის მთელმა რიგმა შახტებმა წარმატებით შეასრულეს ოცისშემდგომი ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები. ქვანახშირის ამოღება 1950 წელს 1940 წელთან შედარებით 140 პროცენტით გაიზარდა.

დიდი მეშაობა გასწიეს შახტების პარტიულმა ორგანიზაციებმა სტახანოვური ვარიგინი მეშაობის მეთოდის დანერგვისათვის. ამ მეთოდით მეშაობა სანგრევში მომეშვეთა მთელი შესაძლებლობის გათვალისწინების საშუალებას აძლევა. იგი ერთი მხრივ ზრდის საექსპლოატაციო უბნისა და ცვლის მეთაურთა პასუხისგებლობას, მეორე მხრივ უბნის ხელმძღვანელობას ეხმარება ნაკლოვანებათა გამომჟღავნებისა და გამოსწორებაში. სტახანოვური განრიგით მეშაობა რომ წარმატების საწინდარია, ამას მოწმობს სამთო ინჟინერების ფ. დობროჯანინის, ი. ოისეფანის, ფ. ზოთაძის უბნების კოლეკტივთა მაგალითი. ისინი საწარმო დაკალის ყოველდღიურად დიდი გადაკრამებით ასრულებენ.

ლენინის სახელობის შახტის პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევდა და აჭცევს შახტაში ინჟინერ კო

მოწინავე, მზარდი კოლმეურნეობა

1950 წლის 22 მაისს სოფლების ხიმშისა და კვაცხუთის მშრომელები ნებაყოფლობით გაერთიანდნენ ერთ გამსხვილებულ კოლმეურნეობაში. შეიქმნა ხიდიკარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა.

წინათ ხიდიკარი აღნიშნავდა მხოლოდ ისტორიულ ადგილს. უძველეს დროში მდინარე რიონზე აქ ხიდი აუგიათ. ხიდის ორივე მხარეს მთის კალთებზე მიშენებულია ციხე-სიმაგრეები, რომელთა სათოფურები პირდაპირ ხიდს დაჰყურებს. სიმაგრეები ისე ოსტატურად არის აგებული, რომ გამვლელი მათ შორიდან ვერც კი შენიშნავს. საქართველოს ისტორიული ბედი უკარნახებდა ჩვენს წინაპრებს აეგოთ ასეთი სიმაგრეები დამპყრობთაგან დასაცავად. ახლა ეს ხიდი აკავშირებს ერთ კოლმეურნეობაში გაერთიანებული ორი სოფლის მშრომელებს, ხოლო ამ ადგილმდებარეობის სახელწოდება მიეკუთვნა გამსხვილებულ კოლმეურნეობას.

ხიმშის კოლმეურნეობა „სინათლე" გაერთიანებამდე რაიონის ერთ-ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა იყო. სუსტი იყო შრომის დისციპლინა, არ სრულდებოდა მოსავლიანობის გეგმები. 1949 წელს ამ კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ 7,7 ცენტნერი მარცვლეული მიიღო. გაერთიანების შემდეგ კი ხიდიკარელებმა ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 13,7 ცენტნერი მარცვლეული. მევენახეობის განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებისათვის კოლმეურნეობას მოპოვებული აქვს რაიონული გარდამავალი წითელი დროშა.

ყოველი ახალი წარმატება და ნაყოფიერი შრომის მაღალი შეფასება ახარებთ ხიდიკარელ კოლმეურნეებს. ისინი ამაყობენ დროშით და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ეს საპატიო ჯილდო წელსაც შეინარჩუნონ.

— სულ უფრო ძლიერი და შეძლებული ხდება ჩვენი კოლმეურნეობა, — ამბობს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. იოსებ საგანელიძე. ამხ. იოსები სამამულო ომის მონაწილეა. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით. 1947 წლიდან ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას და კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას,

კოლმეურნეობა იბრძვის მოსავლიანობის გადიდებისათვის. საგაზაფხულო თესვის გეგმა დროზე და გადაჭარბებით შესრულდა. გაზაფხულის კულტურები 112 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 130 ჰექტარზე. შემოდგომის ნათესებს 114 ჰექტარი უჭირავს. 62 ჰექტარზე გაშენებულია ვენახი. წელს გაშენდა 3,5 ჰექტარი ახალი ვენახი.

ამჟამად კოლმეურნეობის მემინდვრეობის ხუთი ბრიგადა მუშაობს პურის მარგვლაზე. მევენახეობის ორმა ბრიგადამ დაამთავრა ვენახის ახვევა და ახლა ვენახის შეწამვლაზე მუშაობს. კოლმეურნეობაში ბრიგადირებად და მერგოლეურებად შერჩეული არიან მოწინავე ადამიანები. მევენახეობის პირველ ბრიგადას ხელმძღვანელობს ამხ. ტ. ჯაფარიძე. 1950 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა მედლით „შრომითი მამაცობისათვის". ამ ბრიგადის მერგოლეურები ვლადიმერ მაჭანკალაძე და კონსტანტინე ნატმელაძე ჰექტარზე 72 ცენტნერი ყურძნის მიღებისათვის დაჯილდოებული არიან ლენინის ორდენებით. ლენინის ორდენით დაჯილდოებულია აგრეთვე მევენახეობის მეორე ბრიგადის მერგოლეური თამარ ბარსონიძე.

1950 წელს ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის სხვადასხვა ორდენითა და მედლით დაჯილდოვდა სულ 15 კოლმეურნე.

მემინდვრეობის ბრიგადებს კარგად ხელმძღვანელობენ დიდი სამამულო ომის სახელოვანი მონაწილენი ვ. გოგობერიშვილი, ბ. ბენდიანიშვილი და დ. სვანი. ისინი ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძვიან მოსავლიანობის გადიდებისათვის.

მამაკაცებს ქალებიც არ ჩამოუვარდებიან. მუშაობის საუკეთესო მაგალითს იძლევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დარიკო ბიჭაშვილი. სამი შვილის დედა ბაბილინა სხირტლაძე, რომელსაც ქმარი სამამულო ომში დაეკარგა, 1949 წელს ჰექტარზე 62 ცენტნერი ყურძნის მიღებისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. 1950 წელს გვალვის მიუხედავად მან ჰექტარზე 55 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

კოლმეურნე გალინა ბენდიანიშვილი, რომელიც ოთხ შვილს ზრდის, ჰექტარზე 50 ცენტნერი ყურძნის მიღებისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

სულ უფრო მაღლდება კოლმეურნეთა შეძლებულობა. აპოლონ მკერვალიშვილის ოჯახმა შარშან 1.004 შრომადღე გამოიმუშავა და მიიღო 3.764 კილოგრამი მარცვლეული, 361 კილოგრამი ლობიო, 421 ლიტრი ღვინო და სხვა პროდუქტები. გარდა ამისა, გამომუშავებულ შრომადღეებზე ამ ოჯახმა მიიღო 6.024 მანეთი. მიხეილ ჰეჰინაძის ოჯახმა გამოიმუშავა 838 შრომადღე, მიიღო 3.141 კილოგრამი მარცვლეული, 310 კილოგრამი ლობიო, 356 ლიტრი ღვინო და 5.028 მანეთი.

კოლმეურნეობას დიდ შემოსავალს აძლევს მეაბრეშუმეობა. ამ დარგს ხელმძღვანელობს მოწინავე ქალი ნ. საგანელიძე, რომელსაც 20 წლის მუშაობის გამოცდილება აქვს. შარშან კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 1.885 კილოგრამის ნაცვლად 2.477 კილოგრამი პარკი ჩააბარა სახელმწიფოს და მარტო პრემიის სახით მიიღო 12.500 მანეთი.

ხიდიკარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, ისევე როგორც ამბროლაურის რაიონის სხვა კოლმეურნეობებში, დიდი ყურადღება ექცევა მშენებლობას და კულტურული ცხოვრების დამკვიდრებას. საგულისხმოა, რომ რაიონის 40 კოლმეურნეობიდან 35 ელექტროფიცირებულია, ხოლო 32 რადიოფიცირებული. მათ შორის 16 კოლმეურნეობას აქვს საკუთარი რადიოკვანძი. ელექტროფიცირებულ და რადიოფიცირებულ კოლმეურნეობათა რიცხვს ეკუთვნის ხიდიკარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაც.

ელექტროენერგიის ფართოდ გამოყენება ხელს უწყობს საკოლმეურნეო შრომის მექანიზაციას. ელექტროენერგიას იყენებენ ლეწვის დროს, ფერმის მექანიზაციისათვის, ჩალისა და სილოსის საჭრელი მანქანებისა და წისქვილის ასამუშავებლად. კოლმეურნეობას განზრახული აქვს მოაწყოს სახერხი ქარხანა.

კოლმეურნეობა გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენს სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებისადმი. 1950 წელს კოლმეურნეობამ ოროთახიანი ბინები აუშენა ანა მელაშვილსა და ნადია აბაიშვილს, ხოლო ეკატერინე დონაძის სახლს კაპიტალური რემონტი გაუკეთა.

დიდი ყურადღება ექცევა პირუტყვისათვის ბინების მშენებლობას. შარშან ფერმის პირუტყვისათვის აგებულ იქნა 120 სულის ტევადობის ორი ბინა. აგებულია ორი ფარდული, საღორე ათი დედალღორისათვის. კოლმეურნეობას განზრახული აქვს წელს ააგოს ბოსელი 60 სული პირუტყვისათვის.

წელს დაიწყება ახალი ორსართულიანი სახლის მშენებლობა. ეს შენობა განკუთვნილი იქნება კოლმეურნეობის კანტორისათვის, აქვე იქნება კლუბი, ბიბლიოთეკა, საექიმო პუნქტი, სასტუმრო, რადიოკვანძი და საპარიკმახერო.

ნაყოფიერ შრომას ეწევიან ხიდიკარელი კოლმეურნეები. მათ შეგნებული აქვთ, რომ კეთილსინდისიერი, ბეჯითი შრომით ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, იმკვიდრებენ ბედნიერ და საამურ ცხოვრებას.

აკ. ჩავლეიშვილი

კონკურსი საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე

საბავშვო ლიტერატურის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი 1951 წელს აცხადებენ კონკურსს საუკეთესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე. კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილ იქნას ეპიკური და დრამატურგიული ჟანრის ნაწარმოებები: მოთხრობა, ნოველა, პოემა, პიესა და სხვ.

კონკურსზე წარმოსადგენ ნაწარმოებთა თემა აღებულ უნდა იქნას თანამედროვე ცხოვრებიდან: საბჭოთა პატრიოტიზმი, სკოლა და ოჯახი, ახალი თბილისი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, სამგორის მშენებლობა, საკოლმეურნეო ცხოვრება, მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და სხვ.

საუკეთესოდ ცნობილ ნაწარმოებთათვის დაწესებულია 9 პრემია:

1 პირველი პრემია—15.000 მანეთი;

3 მეორე პრემია—თვითეული 10.000 მანეთი;

5 მესამე პრემია — თვითეული 5.000 მანეთი.

პრემირებულ ნაწარმოებში ავტორს მიეცემა აგრეთვე ჰონორარი. საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ნაწარმოები.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყოველ საბჭოთა მწერალს, ყოველ საბჭოთა მოქალაქეს.

კონკურსზე წარმოდგენილ ნაწარმოებთა განსახილველად გამოყოფილია ჟიური შემდეგი შემადგენლობით: ვ. კუპრაძე (თავმჯდომარე), გრ. აბაშიძე, გრ. ბარამიძე (მდივანი), თ. მათიაშვილი, ბ. ჟღენტი, მ. ჟორჟიკაშვილი, გ. საყვარელიძე, დ. ფანჩულიძე, ს. ჭილაია.

პრემიების მიკუთვნება მოხდება ფარული კენჭისყრით.

კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნას მანქანაზე გადაბეჭდილი ნაწარმოები, ორ ცალად, დევიზით. ცალკე დახურულ კონვერტში, იმავე დევიზით, უნდა მოთავსდეს ფურცელი ავტორის გვარის, სახელის, მამის სახელისა და მისამართის აღნიშვნით.

მასალები უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, მთავრობის სახლი, განათლების სამინისტრო, საბავშვო მხატვრული ნაწარმოების კონკურსისათვის.

კონკურსზე ნაწარმოების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 15 სექტემბერი.

სერიოზული ნაკლოვანებანი რუსთავის სავაჭრო ქსელის მუშაობაში

სწრაფად იზრდება და მშვენიერდება მეტალურგების ქალაქი რუსთავი — ჩვენი რესპუბლიკის სიამაყე. გაფართოვდა ქალაქის სავაჭრო ქსელიც: გაიხსნა სასურსათო და სამრეწველო, ავეჯის, თევზეულის, ხორცისა და რძის ნაწარმის, გასტრონომიული, პურისა და ფუნთუშის, წიგნების ახალი მაღაზიები. რუსთავში ყოველგვარი პირობებია კულტურული საბჭოთა ვაჭრობის გაშლის, მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ, როგორც რუსთავის საქალაქო გაზეთ „მეტალურგისათვის" რედაქციისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების მუშაკებთან ერთად „კომუნისტის" რედაქციის მიერ მოწყობილმა რეიდმა გამოარკვია, რუსთავის სავაჭრო ორგანიზაციებს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ.

მრავალმა რუსთაველმა მეფოლადემ კაპიტალურად ნაშენ ლამაზ სახლებში მიიღო ნათელი და ფართო ბინები. კარგ ბინებს ესაჭიროება კარგი მოწყობილობა: ავეჯი, ფანჯრის ფარდები, ფარდების საკიდები და სხვა. მაგრამ ასეთი საქონელი რუსთავში ნაკლებად არის. ცუდათ მარაგდება სავაჭრო ქსელი აგრეთვე საზაფხულო შესაკერი ქსოვილებით და შეკერილი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ხორცით და მისი ნაწარმის ფართო ასორტიმენტით, რძითა და რძის ნაწარმით.

ქალაქში ძირითადად ორი ასორტიმენტის პური ცხვება, მაგრამ ცხობის ხარისხი დაბალია. სავაჭრო ქსელში ამას ყურადღებას არ აქცევენ და უხარისხო პურს ჰყიდიან. ხშირია უხარისხო ხორცითა და მისი ნაწარმით ვაჭრობის შემთხვევებიც. 11 მაისს კულტურისა და დასვენების პარკის ფარდულში (გამგე ვ. ბურჭულაძე) უვარგისი შაშხი იყიდებოდა; ასეთსავე ფაქტს ჰქონდა ადგილი № 34 მაღაზიაში, რომლის გამგეა ლ. ბუდაგოვი.

რუსთავში ფართო ასორტიმენტის ნაწარმის უქონლობა მწარმოებელი და მიმწოდებელი ორგანიზაციების ცუდი მუშაობითაც აიხსნება. მაგალითად, თბილისის მარგარინის ქარხანამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არ შეასრულა შეფუთული მარგარინის მიწოდების დავალება, „გლავრიბას" საქართველოს კანტორამ — ახალი გაყინული თევზისა და ა. შ.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა და მშენებლობათა დამხმარე მეურნეობებს სავსებით შეუძლიათ ხილ-ბოსტნეულზე რუსთავის მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. სამწუხაროდ, მეურნეობებსა და საქვაჭრობის რუსთავის განყოფილების ხელმძღვანელთა შორის შეუთანხმებლობის შედეგად ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობა თითქმის ჩაშლილია. მეურნეობებმა არ იციან რას მოითხოვს გამსაღებელი, ხოლო ამ უკანასკნელმა—რა სახის ხილეული და ბოსტნეულია მეურნეობებში. დამხმარე მეურნეობის დირექტორი ამხ. პ. ყაჭეიშვილი ხილბოსტნეულის მიუწოდებლობას ახალი ხელშეკრულების უქონლობით ხსნის, რაც არასწორია. შარშან ხელშეკრულებაც ჰქონდათ და მოსავალიც კარგი მიიღეს, მაგრამ 50 ტონის ნაცვლად სავაჭრო ორგანიზაციას 26 ტონა კომბოსტო ჩააბარეს. მეურნეობათა ხელმძღვანელები ზოგჯერ თავს არიდებენ სავაჭრო ქსელში პირველი მოსავლის ჩაბარებას. რამდენიმე დღეა შემოვიდა საგაზაფხულო კომბოსტო. რუსთავში მისი დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ კომბოსტოს შერჩევით აღება-ჩაბარება რატომღაც ჭიანურდება. მოუგვარებელია ხილ-ბოსტნეულის გადაზიდვა. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ ხილ-ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ერთადერთი სავაჭრო მაღაზია ცარიელია, საზოგადოებრივი კვების ქსელში კი მხოლოდ მწვანე ხახვი იყიდება, ისიც უვარგისი.

სავაჭრო ქსელში არის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მაღაზიები და ფარდულები მათი გამგეების სურვილისამებრ იღება და იკეტება. 11 მაისს № 7 მაღაზია (გამგე ა. ლეუსი) დღის 12 საათზე გაიღო ნაცვლად 10 საათისა. მაღაზიების უმეტესობას არა აქვს გაღების, დაკეტვისა და შესვენების დაწესებული დროის მაჩვენებელი.

ზოგან უხეშად არღვევენ ვაჭრობის წესებს, აფერხებენ საქონლის დროულად რეალიზაციას, მომხმარებელს ატყუებენ ზომა-წონაში. გასტრონომიული მაღაზიის დირექტორს ე. მახარაძეს 13 კილოგრამი შაქარი და 110 კილოგრამი პირველი ხარისხის პურის ფქვილი გასაყიდად რატომღაც არ გამოუტანია. საქვაჭრობის რუსთავის განყოფილების № 2 მაღაზიაში გამყიდველმა ი. გუმბატოვმა მომხმარებელ ვ. კურსინას (№ 13 საფაბრიკო-საქარხნო სკოლის № 3 სახლი, ოთახი № 11) 20 კილოგრამ კარტოფილზე ორნახევარი კილოგრამი დააკლო და ამასთანავე 15 მანეთისა და 75 კაპიკის ნაცვლად 20 მანეთი გადაახდევინა. როცა გუმბატოვს მომხმარებლებმა ამის შესახებ მიუთითეს, მას გამოესარჩლა აღნიშნული მაღაზიის გამგე ი. მიხაილოვი. № 4 სასადილოს მებუფეტე ნ. მაისაშვილი უფაქტურო ყველს ჰყიდდა.

მართალია, საქვაჭრობის რუსთავის განყოფილება (მმართველი გ. მარტიაშვილი) საქონელბრუნვის გეგმას ასრულებს, მაგრამ ვერ ასრულებს დაგროვების გეგმას, ადგილი აქვს გაფლანგვადატაცებას. გაფლანგული და დატაცებული თანხა 1 მილიონ 248 ათას მანეთს აჭარბებს.

გაფლანგვების თავიდან ასაცილებლად სუსტად იბრძვიან საქვაჭრობის განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკები. არ ხდება კადრების შერჩევა-შემოწმება, ვაჭრობაში ახალი კადრების ჩაბმა და შენარჩუნება. შარშან საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით გაიხსნა დახლის მუშაკთა მოსამზადებელი კურსები, რაც 48 ქალმა დაამთავრა. მათმა უმრავლესობამ მუშაობაც დაიწყო, მაგრამ მათგან დღემდე 12 ქალი შერჩა სავაჭრო ქსელს.

სამუშაოზე მიღებისას დანაშაულებრივად ეპყრობიან კადრების შერჩევას. მაგალითად, ვინმე შ. გალუსტოვი № 33 მაღაზიის გამგედ დანიშნეს. მან აქ მალე რამდენიმე ათასი მანეთი გაფლანგა. იგი თვალისასახვევად სამუშაოდან მოხსნეს, მისი საქმე პროკურატურას გადასცეს, მალულად კი სამუშაოდან პირადი სურვილით განთავისუფლების საბუთი და კარგი დახასიათება მისცეს. გალუსტოვზე 3.978 მანეთი დავალიანება დარჩა. № 16 მაღაზიაში გამგის თანამდებობაზე ვ. ურთმელიძე დანიშნეს, მაშინ როცა თბილისში ჩადენილი დანაშაულისათვის მის წინააღმდეგ სასამართლო ძიება იყო აღძრული. ურთმელიძის მიერ რუსთავში 8.818 მანეთის გაფლანგვის გამოვლინება ვერც კი მოასწრეს, რომ იგი თბილისში ადრე ჩადენილ დანაშაულისათვის დააპატიმრეს და თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. № 3 სასადილოს გამგეს ნ. ასანიშვილს ბრალად ედებოდა 77 ათასი მანეთის გაფლანგვა, საქმე პროკურატურას გადაეცა. მაგრამ ამან ოდნავაც არ დააფიქრა საქვაჭრობის რუსთავის განყოფილების ხელმძღვანელობა. ასანიშვილი, პროკურორის მითითების მიუხედავად, სავაჭრო ქსელს არ ჩამოაცილეს, № 13 სასადილოში იმავე თანამდებობაზე გაგზავნეს. აქაც მას რამდენიმე ათასი მანეთი „შემოეხარჯა".

გამფლანგველების ლონტის, მეტრეველის, მამულაშვილის, ოდიშარიას და სხვათა საქმეების დამთავრება დაუშვებლად ჭიანურდება რუსთავის პროკურატურაში (პროკურორი ვ. ცერცვაძე).

აღნიშნული ნაკლოვანებებიდან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ რუსთავის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა. რუსთავში ვაჭრობა სანიმუშოდ უნდა იყოს მოწყობილი.

რეიდის მონაწილენი:
პ. გოგიშვილი
რ. დავიდოვი
გ. გელაშვილი
გ. ხენგავა

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებამ შეამოწმა ქალაქ თბილისის რაიონების საფინანსო განყოფილებათა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1951 წლის პირველი კვარტალის შედეგები. გამარჯვებულად ცნობილ იქნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება (გამგე ამხ. ს. პაპავა), რომელსაც მიენიჭა პირველი პრემია და მიეცა ფულადი ჯილდო 6.750 მანეთი.

მეორე პრემია მიენიჭა და 4.500 მანეთი ფულადი ჯილდო მიეცა 26 კომისრის რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებას (გამგე ამხ. ბარათაშვილი).

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით შემოსავლის გეგმების შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მადლობა გამოეცხადათ სტალინისა და მოლოტოვის რაიონების საფინანსო განყოფილებათა კოლექტივებს (გამგეები ვ. კალანდაძე და დ. ჩიქოვანი).

შემოსავლის გეგმების შესრულების საქმეში აღინიშნა აგრეთვე ბერიას რაიონის საფინანსო განყოფილების (გამგე ამხ. გ. ტაბატაძე) კარგი მუშაობა.

ეთერზეთოვანი ქარხნის მშენებლობა აბაშაში

აბაშა. (ჩვენი კორ.). მიმდინარე წლის 10 აპრილიდან დაბა აბაშაში დაიწყო ეთერზეთოვანი ქარხნის მშენებლობა. ქარხნის საწარმოო სიმძლავრე გაანგარიშებულია 2.790 ტონა გერანისა და ბაზილიკის მწვანე მასის გადამუშავებისათვის.

ქარხნის გასაშენებლად გამოყოფილია 7 ჰექტარი ფართობი. აქ მოეწყობა დამხმარე საწარმოები და აიგება საცხოვრებელი ბინები. მიმდინარე წლის 20 ივლისისათვის ამუშავდება ქარხნის ერთი კორპუსი.

ეთერზეთოვანი ქარხნის მშენებლობის ძირითადად დამთავრება გათვალისწინებულია 1951 წლის ბოლოსათვის.

გაიხსნა იროდიონ ევდოშვილის სახლი-მუზეუმი

სიღნაღი. (საკ. კორ.). სოფელ ბოდბისხევში, იმ სახლში, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა რევოლუციონერმა პოეტმა იროდიონ ევდოშვილმა (ხოსიტაშვილმა), 20 მაისს გაიხსნა პოეტის სახლი-მუზეუმი. მუზეუმში მრავლად არის გამოფენილი პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები.

სახლ-მუზეუმის ეზოში შეიკრიბნენ სიღნაღის, ლაგოდეხის და წითელწყაროს რაიონების კოლმეურნეები, ინტელიგენცია, მოსწავლეები, პოეტის მახლობლები; მოეწყო ლიტერატურული დილა.

მოხსენება იროდიონ ევდოშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ხატიაშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს სტალინური პრემიის ლაურეატმა დრამატურგმა სანდრო შანშიაშვილმა, მწერლებმა ბაბილინა ხოსიტაშვილმა (ი. ევდოშვილის და), სიკო ფაშალიშვილმა, ერ. ქარელიშვილმა, ინტელიგენციის სახელით ს. ერიაშვილმა. პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს მ. ჯანაშვილმა, გ. ნადაშვილმა, ლ. შინჯიკაშვილმა, ს. მამუქელაშვილმა.

თა ბელადებმა მხარი დაუჭირეს ყველაზე რეაქციულ პარტიებთან ბლოკს საფრანგეთის ეროვნული კრების მომავალ არჩევნებში იმ მიზნით, რომ ხელისუფლებისაკენ გზა გაუკაფონ დეგოლელ ფაშისტებს. ამერიკელ იმპერიალისტთა ამ დავალების განხორციელებას საფრანგეთის რეაქცია ცდილობს ახალ საარჩევნო კანონზე დაყრდნობით, რომელიც მემარჯვენე სოციალისტთა აქტიური მონაწილეობით მიღებულია უბოდიშო თაღლითური მაქინაციების შედეგად და წარმოადგენს ფრანგი ხალხის ნება-სურვილის, მისი თავისუფლებისმოყვარე ტრადიციების, ელემენტარული დემოკრატიული პრინციპების აბუჩად აგდების საზიზღარ აქტს.

ახალი ომის იმპერიალისტური გეგმების მხარდამჭერის გზა, რასაც მემარჯვენე სოციალისტები ახორციელებენ, სოციალისტური პარტიების რიგითი წევრების უკმაყოფილებას იწვევს. ამას წინათ გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყებოდა, რომ ლეიბორისტული პარტიის ჩარინგის, (კენტის საგრაფო) ადგილობრივი განყოფილების აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრი გამოვიდა ლეიბორისტული პარტიიდან. მათ ინგლისის კომუნისტურ პარტიას მიმართეს თხოვნით წევრებად მიღების შესახებ. აღმასკომის წევრთა შორის არიან მისი თავმჯდომარე ფოზარდი და მდივანი ფოზარდი, რომლებიც 35 წლის განმავლობაში ლეიბორისტული პარტიის აქტიური წევრები იყვნენ, აგრეთვე აღმასკომის ვიცე-თავმჯდომარე ლევეროკი, რომელსაც ლეიბორისტული პარტიის წევრობის 30 წლის სტაჟი აქვს.

ლეიბორისტული პარტიიდან გამოსვლის შესახებ წერილში ფოზარდი, რომელიც 1950 წლის არჩევნებში კენტის საგრაფოს საბჭოს წევრობის კანდიდატი იყო ლეიბორისტული პარტიისაგან, წერს: „ჯერჯერობით ხელები მხოლოდ პეჰყით გვაქვს დასვრილი, მაგრამ ახლა ეტლის და კომპანიას შეუძლიათ ისინი სისხლით დაგვისვარონ. ორი წლის განმავლობაში ჩვენ ვზღუდავდით ხელფასს, რათა ფეხზე დაგვეყენებინა ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, ახლა კი შევიტყვეთ, რომ ინგლისს ხელახლა შეიარაღების კოლოსალური პროგრამა აქვს, თუმცა იგი ომის მდგომარეობაში არ იმყოფება და ჩვენ არავინ არ გვემუქრება".

საფრანგეთისა და დასავლეთის სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მოწინავე რევოლუციურმა პროლეტარებმა კარგად იციან, თუ ნამდვილად რა ფასი აქვს მემარჯვენე სოციალისტთა ბელადების სიტყვასა და საქმეს. საკმარისია გავიხსენოთ, „სოციალისტმა" ჟიულ მოკმა თავის დროზე როგორ მოაწყო ნამდვილი სამხედრო ოპერაციები უიარაღო გაფიცული მეშახტეების წინააღმდეგ. ექვსი კვირის განმავლობაში მას მობილიზაციურ მზადყოფნაში ჰყავდა ათეულ ათასობით კარგად შეიარაღებული ჯარისკაცი. მან გერმანიიდან გამოიწვია საოკუპაციო ჯარების ნაწილები, საფრანგეთში ჩამოიყვანა კოლონიური ჯარების ნაწილები. ბარიკადებს, რომლებიც მუშებმა შახტებს შემოავლეს, უშენდნენ ზამხანებს, ავტომატებს, ტყვიამფრქვევებს, ზარბაზნებსაც კი. სამი მაღაროელი მოკლულ იქნა, რამდენიმე ასეული დაიჭრა, ორი ათასზე მეტი დააპატიმრეს. 1950 წლის აპრილში ბრესტში ჟიულ მოკის პოლიციამ სროლა აუტეხა გაფიცული მუშების დემონსტრაციას, რომლებიც მიდიოდნენ ქალაქის მერთან, რათა მოეთხოვათ პროფკავშირის დაპატიმრებულ მუშაკთა განთავისუფლება.

როცა 1950 წელს, ავსტრიაში საყოველთაო გაფიცვის დროს, რაც გამოწვეული იყო ცხოვრების სიძვირის ზრდით, მუშებმა ფასების შემცირება მოითხოვეს, როცა გაფიცვა ვენის მთელ რიგ საწარმოებს მოედო და ავსტრიის სხვა ქალაქებშიც გადავიდა, შინაგან საქმეთა მინისტრმა „სოციალისტმა" გელმერმა ბრძანება გასცა მუშების წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნათ პოლიციის სპეციალური რაზმები.

მემარჯვენე სოციალისტურ პარტიათა ლიდერების მთელი გამცემლური პრაქტიკა **იწვევს მათ თვითმხილებას ამ პარტიების რიგითი წევრების ფართო მასების წინაშე, დღითიდღე სულ უფრო ცხადყოფს მემარჯვენე სოციალისტთა ლიდერების სოციალისტური ფრაზეოლოგიის იმპერიალისტურ არსს.** ძლიერდება რიგითი სოციალისტი მუშების მნიშვნელოვან ნაწილში არსებული უკმაყოფილება მემარჯვენე სოციალისტთა ბელადების პოლიტიკის გამო, რაც იწვევს ამ პარტიების შიგნით წინააღმდეგობათა ზრდას და მასებში მათი გავლენის დაცემას. სოციალისტური პარტიების რიგითი წევრები მუშათა კლასის საარსებო მოთხოვნებისათვის თავიანთი ყოველდღიური ბრძოლის უბრალო თვალსაჩინო მაგალითებით სულ უფრო რწმუნდებიან, რომ მემარჯვენე სოციალისტური პარტიების ლიდერები ლაქიობენ იმპერიალიზმის წინაშე და ღალატობენ პროლეტარიატს.

კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი შეძლებს სწორად შეაფასოს ნამდვილი აზრი იმ ფუსფუსისა, რაც ატეხილია ეგრეთწოდებული ახალი „სოციალისტური ინტერნაციონალის" შექმნის გარშემო, რომელიც მოწოდებულია შეასრულოს იმპერიალისტური რეაქციის მორიგი დავალება — კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებს გაუადვილოს შემდგომი შეიარაღების გეზის, კაპიტალისტური მონოპოლიების მოგების გულისათვის მშრომელთა საარსებო დონის ახალი შემცირების გეზის განხორციელება, ხელი შეუშალოს მუშათა მასების გაერთიანებას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის ბრძოლაში. ეს მანევრი მხილებულ იქნება როგორც ახალი აქტი მემარჯვენე სოციალისტთა ლიდერების ლაქიობისა აგრესიული იმპერიალისტური წრეების წინაშე, რომელთა მორჩილ აგენტურასა და მთავარ დასაყრდენსაც ისინი წარმოადგენენ.

ვ. გრიგორიანი

„პრავდა".

რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. ლუსინიანის შემოქმედებითი საღამო

20 მაისს თბილისის სომხური დრამის თეატრში გაიმართა რესპუბლიკის სახალხო არტისტის არტემ ლუსინიანის შემოქმედებითი საღამო. ნიჭიერი მსახიობის პატივსაცემად თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ დედაქალაქის საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერი მუშაკები, მწერლები, სტუდენტები.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი არტემ ლუსინიანი სცენაზე პირველად გამოვიდა ოცი წლის წინათ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მსახიობმა მოიხვეჭა საბჭოთა სცენის ოსტატის სახელი. მისი პირველი შემოქმედებითი გამარჯვება იყო რევოლუციონერ სინცოვის როლი მაქსიმ გორკის პიესაში „მტრები".

შილვა დადიანის პიესაში „ნაპერწკლიდან", პოგოდინის „კრემლის კურანტებში" მსახიობი ასრულებს ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის როლს.

ა. ლუსინიანის შემოქმედებით საღამოზე წარმოდგენილი იყო ნაწყვეტები პიესებიდან ავჩიანის „სოს და ვარდითერი", ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი", ქოჩარიანის „ძველი ხნეულები". შექსპირის „ოტელო" და სხვ., რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ა. ლუსინიანმა, აგრეთვე სომხური დრამის თეატრის მსახიობებმა დორი ამირბეკიანმა, ჰაჭარემ, ე. ჰაკობიანმა, ა. მელიქიანმა, რ. პაპოვიანმა, ა. ქაჯბერიანმა, მ. ბეროიანმა, ლ. ალაჰვერდიანმა.

რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. ლუსინიანის შემოქმედებითმა საღამომ დიდი წარმატებით ჩაიარა.

ჩვენ გვწერენ

მკაცრად დავიცვათ ქუჩაში მოძრაობის წესები

ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესების დარღვევა და მისი ექსპლოატაციის საქმეში უწესრიგობა იწვევს ავარიებს, უბედურ შემთხვევებს. ავარიებისა და უბედურ შემთხვევათა ძირითადი მიზეზია ტრანსპორტის მოძრაობა დაწესებულ ნორმაზე სწრაფად, ქუჩის გადასასვლელებზე წესების დარღვევა, ტექნიკურად მოუწესრიგებელი მანქანების ექსპლოატაცია.

საწარმოთა, დაწესებულებათა და ავტომეურნეობათა ზოგი ხელმძღვანელი კონტროლს არ უწევს ავტოტრანსპორტის მძღოლთა მუშაობას, არ იბრძვის შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, ხანდახან ხელსაც კი უწყობს დანაშაულობათა ჩადენას.

დავასახელებთ ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევის რამდენიმე ფაქტს.

მოქალაქე ი. გ. ასატუროვის ავტომანქანის მძღოლმა ს. ა. ავეტისოვმა ქ. თბილისში შაუმიანის ქუჩაზე განავითარა დაუშვებელი სისწრაფე — 70 კილომეტრამდე საათში. მძღოლმა ისე ახლოს ჩაუქროლა ქუჩის მარცხენა მხარის ტროტუარს, რომ მანქანა დააჯახა გამვლელ მოქალაქეს, რომელიც იქვე გარდაიცვალა, მეორე მოქალაქე კი მძიმედ დააშავა. ავეტისოვი მიცემულია პასუხისგებაში.

ქუთაისის რაიონში მოქალაქე ხმალაძის მანქანას მართავდა ვინმე ჩუბინიძე, რომელსაც მძღოლობისა არაფერი გაეგებოდა. ამის შედეგად მანქანა 45 მეტრის სიმაღლიდან მდინარე რიონში გადავარდა. სამი მგზავრი და თვით „მძღოლი" მძიმედ დაშავდნენ.

ქ. თბილისში მაიაკოვსკის ქუჩაზე ავტომანქანამ, რომელსაც მართავდა მისივე პატრონი მოქალაქე ა. ე. კეროპიანი, ავარია განიცადა. ავარიის შედეგად დაიჭრა მანქანაში მჯდომი მოქალაქე გალოიანი. ა. კეროპიანი მიცემულია სამართალში.

ხშირია შემთხვევა, როცა ცალკეული მოქალაქეები არღვევენ ქუჩაში მოძრაობის წესებს. მაგალითად, 17 მაისს კინოსტუდიის რეჟისორი გიორგი გაბისონია კლარა ცეტკინის ქუჩაზე შეახტა მიმავალ ტრამვაის, რისთვისაც მილიციის მუშაკებმა დააკავეს. მიმავალი ტრამვაიდან ჩამოხტა მოსწავლე ზ. ქ. ბრონიაკი. ასეთი რისკი, გაუფრთხილებლობა ძალიან ხშირად უბედური შემთხვევით მთავრდება. ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-5 კურსის სტუდენტი ა. შ. ფხაკაძე მელიქიშვილის ქუჩაზე ჩამოხტა მიმავალი ტრამვაიდან, მანქანის ქვეშ ჩავარდა და იქვე გარდაიცვალა.

საჭიროა განვამტკიცოთ ქუჩაში მოძრაობის დისციპლინა, აღვკვეთოთ დადგენილი წესების დარღვევა.

მილიციის კაპიტანი ნ. ზვიდკო.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 23 მაისი. (საქტესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე დიდ ზარალს აყენებენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენციონისტთა ჯარებს.

წინასწარი ცნობებით, 4 დღის ბრძოლებში მოკლული და დაჭრილია ამერიკელთა და სამხრეთკორეელთა არმიის 7 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოკლულთა შორის არის სამხრეთკორეელთა მე-8 პოლკის მეთაური.

ტყვედ წამოყვანილია 6 ათასზე მეტი ამერიკელი, ფრანგი და ლისიმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

წამოღებულია შემდეგი დავლა: 3 ათასზე მეტი შაშხანა, 180-ზე მეტი მძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვევი, 60-ზე მეტი ნაღმსატყორცნი, 80-ზე მეტი მძიმე ქვემეხი და ჰაუბიცი, სხვადასხვა კალიბრის 133 ქვემეხი, 31 ტანკი, 800-ზე მეტი ავტომანქანა, 66 რადიოდანადგარი.

ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 23 თვითმფრინავი და დაზიანებულია 10.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

პეკინი, 22 მაისი. (საქტესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებას იმის გამო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ უკანონოდ მიიღო რეზოლუცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სა-...

...რესპუბლიკისათვის მისაწოდებელ საქონელზე ემბარგოს შემოსაღებად ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ძლევამოსილ ბრძოლაზე, რასაც ჩინეთის და კორეის ხალხები ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ეწევიან. კორეის სახალხო არმიამ და ჩინელმა მოხალისეებმა უკვე მოიპოვეს დიდი გამარჯვებანი ბრძოლის ველზე ...

კორეაში წარმოებული საომარი მოქმედების მიმოხილვა

კორეის სახალხო არმიის ნაწილები და ჩინელი მოხალისეები კვლავ ძლიერ დარტყმებს აყენებენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენციონისტთა ჯარებს და მიერეკებიან მათ სამხრეთისაკენ. ფრონტის ცალკეულ უბნებზე სახალხო არმია 38-ე პარალელის სამხრეთით 30-40 კილომეტრზე მოქმედებს.

როგორც პარიზის რადიო იუწყება, სახალხო არმია ჩინელ მოხალისეებთან თანამოქმედებით მთავარ შეტევას აწარმოებს ფრონტის ცენტრალურ უბანზე, რის შედეგადაც ამერიკის მე-8 არმიის ნაწილები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ინტერვენტთა ჯარების პოზიციები გარღვეულია.

მდგომარეობა რომ გამოასწორონ, ამერიკელთა სარდლობა, როგორც ყოველთვის, წინ გზავნის ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტთა ჯარებს—ინგლისელებს, ფრანგებს, ჰოლანდიელებსა და სხვებს. მაგრამ ესეც ყოველთვის ვერ შველის ამერიკელებს. მაგალითად, უკანასკნელ ბრძოლებში ძლიერ დაზარალდა ამერიკელთა მე-2 ქვეითი დივიზია, რომელსაც ფრანგთა, ჰოლანდიელთა და ახალზელანდიელთა ჯარები იფარავდნენ. პარიზის რადიოს ცნობებით, სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა იერიშები ფრონტის ცენტრალურ უბანზე „გაორკეცებული ძალით განახლდა“. რეიტერის სააგენტოც იძულებულია აღნიშნოს, თუ რა მძლავრ დარტყმებს განიცდიან ინტერვენტთა ჯარები. ლონდონის რადიო აღიარებს, რომ ამ რაიონში ამერიკელთა დივიზიები გარემოცვაში მოექცნენ.

გაფთრებული ბრძოლები გრძელდება ფრონტის დასავლეთ და აღმოსავლეთ უბნებზეც. ლონდონის რადიოს ცნობით, დასავლეთ უბანზე ხელჩართული შეტაკებები მოხდა. აქაც, აღნიშნავს რადიო, ინტერვენტები „იძულებული გახდნენ რამდენიმე უკან დაეხიათ“.

უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებით დიდი ზარალი ნახეს ლისინმანელთა ჯარებმა, რომლებსაც ამერიკის სარდლობა აგრეთვე ავანგარდად იყენებს ბრძოლაში. ლისინმანელებმა ამერი-...

ჩეხოსლოვაკიის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი

პრაღა, 23 მაისი. (საქტესი). ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 21 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პრაღაში გადასცა ნოტა, რომელშიც ნათქვამია:

„საგარეო საქმეთა სამინისტრო იძულებული იყო არაერთხელ განეცხადებინა თავისი პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა ფორმის მტრული საქმიანობის გამო. მაგრამ, მიუხედავად პროტესტებისა, რომელთა სამართლიანობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამაც კი ძალაუნებურად აღიარა, ეს მტრული საქმიანობა არათუ არ შეწყვეტილა, არამედ, პირიქით, სულ უფრო ძლიერდება.

მაშინ როდესაც ჩეხოსლოვაკიის მთავრობა და ჩეხოსლოვაკიის ხალხი სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან და ხალხებთან ერთად თავის პოლიტიკას მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ, ხალხთა შორის მშვიდობიანი დემოკრატიული თანამშრომლობისაკენ მიმართავენ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სისტემატურად ამზადებს, აწყობს და ეწევა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა ფორმის მტრულ საქმიანობას“.

ნოტაში აღნიშნულია, რომ ამერიკის მთავრობა თავის რადიოსადგურებს იყენებს „ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული მტრული საქმიანობისათვის, ავრცელებს ყალბ ცნობებს და ეწევა წაქეზებელ პროპაგანდას. ამერიკის რადიოსადგურთა შორის ჩეხოსლოვაკიის საწინააღმდეგო პროპაგანდით განსაკუთრებით გაირჩევა ამერიკის მოკლეტალღიანი რადიოსადგური, რომელსაც თვალთმაქცურად ეწოდება „თავისუფალი ევროპა“. ეს ამერიკის რადიოსადგური წინასწარი მყვირალა განცხადებების შემდეგ 1951 წლის 1 მაისიდან შეუდგა ჩეხოსლოვაკიის საწინააღმდეგო გადაცემებს ახალი საშუალოტალღიანი რადიოსადგურით. ამასთან იგი არღვევს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იყენებს ისეთ ტალღებს, რომლებიც, კოპენჰაგენის კონვენციის თანახმად, ეკუთვნის სხვა სახელმწიფოების რადიოსადგურებს“. ამერიკის ახალი რადიოსადგური, როგორც აღნიშნულია ნოტაში, მდებარეობს მიუნხენის მახლობლად, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც კონტროლს უწევენ ამერიკის შეერთებული შტატები.

...არა მარტო თავის საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ გერმანიის შესახებ მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებათაგან, არამედ საერთაშორისო სამართლის უმთავრეს პრინციპებსაც“.

ნოტის მეორე ნაწილში აღნიშნულია:

„1951 წლის 4 მაისს 6-7 ამერიკელმა შეიარაღებულმა სამხედრო პირმა ორი ავტომანქანით გადმოლახა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საზღვარი იმ გზატკეცილზე, რომელიც ბავარიის სოფელ მერინგიდან მიდის მარიანსკე-ლაზნეს რაიონის სოფელ ბროუმოვში, 22 და 23 სასაზღვრო ნიშნებს შორის. მათ აყარეს სასაზღვრო შლაგბაუმებს საზღვრის ორივე მხარეს და თავიანთი მანქანებით შემოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის სიღრმეში, სადაც ბინოკლით დაათვალიერეს სასაზღვრო ობიექტები და გადაიღეს მათი სურათები. საზღვრის დამრღვევებმა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორია იმავე გზით დატოვეს, რა გზითაც მოვიდნენ.

ეს ფაქტები გამოარკვიეს ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებმა და დაადასტურა სასაზღვრო მცველმა რაზმმა, რომელიც სამსახურს ასრულებდა გერმანიის ოკუპაციის ამერიკული ზონის საზღვარზე“.

„ზემოაღნიშნული ფაქტები როდი წარმოადგენენ ერთეულ შემთხვევებს, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები არღვევენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიულ ხელშეუხებლობას, — აღნიშნულია ნოტის მესამე ნაწილში.—ეს ჩეხოსლოვაკიის სახმელეთო და საჰაერო საზღვრების იმ სისტემატური და უხეში დარღვევის მხოლოდ ერთი რგოლია, რასაც ამერიკის სამხედრო ორგანოები ახდენენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რათა ხელი შეუწყონ ინდივიდუალურ ჯაშუშურ და ტერორისტულ აქტებს, მავნებლურ ელემენტებსა და აგრეთვე აშკარა მტრულ ჯაშუშურ საქმიანობას. ამას მოწმობს მთელი რიგი პროტესტები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ განაცხადა ცალკეულ შემთხვევებში. ჩეხოსლოვაკიის მთავრობას აქვს იმის უტყუარი დამამტკიცებელი საბუთები, რომ ყველა ეს მოქმედება ნაწილია იმ ჯაშუშური და სხვა მტრული საქმიანობისა, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წინააღმდეგ სისტემატურად ამზადებენ და აწყობენ დასავლეთ გერმანიაში ...

...ნააღმდეგ და სხვა სუვერენული მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებისა და ხალხების წინააღმდეგ. მტრული საქმიანობის ამ ფორმის სერიოზულობას აძლიერებს ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის რადიოსადგურებზე გადაცემებისათვის იყენებს ჩეხოსლოვაკიის ხალხის მოღალატეებს ჩეხოსლოვაკიელ ემიგრანტთა წრიდან. ამით იგი არღვევს ...

...ტაში, — მთელი სერიოზულობით განიხილავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მტრულ საქმიანობას, რასაც მოწმობს ამ ნოტაში მოყვანილი შემთხვევები. იგი მტკიცე პროტესტს აცხადებს ყველა ფორმის ამ მტრული საქმიანობის წინააღმდეგ და მოელის ცნობას იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ“.

ესპანეთის მშრომელთა ბრძოლა ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა რემილიტარიზაციის წინააღმდეგ

ინდონეზიური გაზეთი შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ

ჰააგა, 23 მაისი. (საქტესი). ჰოლანდიური პრესის ცნობით, ინდონეზიურმა გაზეთმა „მერდეკამ“ მოათავსა სტატია სათაურით: „შეინარჩუნონ დამოუკიდებელი პოლიტიკა“. სტატიაში ნათქვამია: „ინდონეზიამ უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებელი პოლიტიკა და თავისი სუვერენიტეტი. პოლიტიკა ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომლებმაც ემბარგო დაადეს ჩვენი კაუჩუკის ექსპორტს, ინდონეზიისათვის დამღუპველია. სტრატეგიული ნედლეულის გატანის აკრძალვა, რასაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა მიმართეს, წარმოადგენს პოლიტიკურ ნაბიჯს, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ გატეხონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგობა ამერიკის მხრივ აგრესიის მიმართ. ამ ემბარგოს ნამდვილი მიზანი ამერიკელთა მხრივ ის არის, რომ შეამცირონ ფასები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბაზრებზე, რის შემდეგაც ამერიკის შეერთებული შტატები გამოვლენ მყიდველის როლში და ბაზრებს დაიპყრობენ მსოფლიოს ამ ნაწილში.

ვაშინგტონს, რომელიც აზიელი ხალხების დაცვის პოლიტიკით იბნიდება, სურს განაგებდეს ინდონეზიას და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს. ინდონეზიამ, მიუხედავად ზეგავლენისა, უნდა დაიცვას და შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა და არ მოექცეს ამერიკის შეერთებული შტატების მეურვეობაში... სწორედ ახლა ინდონეზიამ უნდა ცხადყოს, რომ იგი არ არის კუდი, რომელიც მხოლოდ მაშინ მოძრაობს, როცა ეს ამერიკელებს სურთ. ინდონეზიელმა ხალხმა მტკიცე პროტესტი უნდა განაცხადოს ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედების წინააღმდეგ, რომელთაც სურთ ჩვენი ქვეყანა თავის კოლონიად გადააქციონ. ჩვენმა მთავრობამ უნდა განაცხადოს, რომ იგი დამოუკიდებელია თავის მოქმედებაში და არ დაემორჩილება ვაშინგტონელ ბატონებს“.

მშვიდობის პაქტისათვის!

მშვიდობის პლებისციტი პოლონეთში

ვარშავა, 23 მაისი. (საქტესი). მშვიდობის ეროვნული პლებისციტი პოლონეთში დასასრულს უახლოვდება. მოდის ცნობები ბევრ მაზრაში პლებისციტის დამთავრების შესახებ.

22 მაისისათვის მშვიდობის ეროვნული პლებისციტის ბიულეტენებს პოლონეთში ხელი მოაწერა უკვე 17.688.998 კაცმა.

61 ფიზკულტურული კოლექტივი

ქედა. (საქ. კორ.). ... 61 ფიზკულტურული კოლექტივი ... თიანებულია 3.226 ფიზკულტურელი.

წლითიწლობით იზრდება რაიონში ფიზკულტურულ-სასპორტო ბაზა. ბევრ სოფელში მოწყობილია კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, დაბრკოლებათა ზოლები.

ფიზკულტურისა და სპორტისადმი განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენენ სოფელ ორცვის მოლოტოვის, ბერიასა და ენგელსის სახელობის კოლმეურნეობებში. ფიზკულტურის მოედნები მოწყობილია ორცვის, ცხმორისის, წონიარისის რაშწლიან სკოლებში და ქედის პედსასწავლებელში. წელს რაიონის ცენტრში მოეწყობა სტადიონი.

რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის წარმატების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ქედის მეთხილამურე ქალთა გუნდს აჭარაში პირველი ადგილი უკავია, ფრენბურთელ ქალთა გუნდს მეორე ადგილი, მეთხილამურე ვაჟთა გუნდს მეორე ადგილი.

ქედის რაიონში აჭარის რამდენიმე ჩემპიონია. მათ შორის ავთანდილ ერემეიშვილი მძლეოსნობაში, ბეჟუტი მანჩხაშვილი 400 მეტრზე რბენაში, ტანია ბერძნიკოვა სათხილამურო სპორტში, ქემალ შერვაშიძე ბირთვისა და ბადროს ტყორცნაში.

თბილისის პირველობა ქართულ ჭიდაობაში

19-21 მაისს ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში მოეწყო შეჯიბრება თბილისის 1951 წლის პირად-გუნდურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა 57 საუკეთესო მოჭიდავე.

პირად პირველობაში თავიანთ წონით კატეგორიებში თბილისის 1951 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ლ. კაციაშვილმა, ს. ქადაგიძემ, კ. ბაშინჯაძემ, თ. მიქელაძემ, ვ. ბალავაძემ, ს. მასიურაძემ, დ. ჩახანიძემ, ბ. თუდევემ.

გუნდური პირველობა და თბილისის 1951 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა სტალინის რაიონის მოჭიდავეთა გუნდმა.

ბათუმის წყალჯომარდობის სადგურის სეზონის გახსნა

ბათუმი. (საქ. კორ.). წელს ორი კვირით ადრე გაიხსნა ბათუმის წყალჯომარდობის სადგურის სეზონი. სეზონის გახსნისას მოეწყო შეჯიბრება წყალჯომარდობის სხვადასხვა სახეში.

წყალჯომარდობის სადგურთან წელს იმუშავებს სამი სექცია, რომლებშიც ჩაბმული იქნება 180-მდე კაცი. სექციებში ახალგაზრდები შეისწავლიან იალქნიანი ნავების მართვას, ნიჩბოსნობასა და ცურვას.

ფეხბურთი

გუშინ გორკში შედგა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის 1951 წლის პირველობის გათამაშების მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედოსა“ და რიგის „დაუგავას“ გუნდები. შეხვედრა დამთავრდა გორკელთა გამარჯვებით, ანგარიშით—2 : 1.

მისაღები გამოცდები მუსიკალურ სკოლებში

თბილისის მეორე მუსიკალურ სკოლაში (დირექტორი ნ. ჯინჭარაძე) ორგანიზებულად მიმდინარეობს მისაღები გამოცდები. მიღება წარმოებს საფორტეპიანო და საორკესტრო კლასებში.

გამოცდებზე საუკეთესო მუსიკალური ნიჭი გამოავლინეს პირველ კლასში მისაღებმა ბავშვებმა: მანანა მაჭავარიანმა, თეიმურაზ ერისთავმა, დემურ ლოლაძემ, ნათელა სახოკიამ, მზია ხატიაშვილმა, ბორის ცერცვაძემ და სხვებმა.

მისაღები გამოცდები წარმატებით ეწყობა მერვე მუსიკალურ სკოლაშიც (დირექტორი ამხ. ზ. ქომეთიანი). გამოცდებზე თავი გამოიჩინეს ნიჭიერმა ბავშვებმა: ც. ცირეკიძემ, ე. ჯამასპიშვილმა, ნ. წილოსანმა, მ. პაპიაშვილმა, მ. ტაბიძემ და სხვ.

მისაღებ გამოცდებს მომზადებული შეხვდნენ დედაქალაქის სხვა მუსიკალური სკოლებიც.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 5 ივნისს, დღის 2 საათზე, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად რუსტამ კამბოი ოღლი ალიევი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Кровоостанавливающие препараты из некоторых растений флоры Азербайджана“.

ოფიციალური ოპონენტები: საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი გ. მ. ნათაძე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ე. ი. აბოლი ...

მეუღლე ოლღა, შვილი რევაზ ნათაძე ოჯახით, დედა ელენე ხმალაშვილი იუწყებიან გრიგოლ იასონის-ძე ნათაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე, 8 ს. გამოსვენება 29-V, 5 ს. ქუჩიშვილის, 20.